

NEWSLETTER



ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი



IDFI აზიის განვითარების ბანკის 49-ე ყოველწლიურ შეხვედრაზე

აზიის განვითარების ბანკის მმართველთა საბჭოს ყოველწლიური შეხვედრები მნიშვნელოვან პლატფორმად ჩამოყალიბდა აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონებთან დაკავშირებული ეკონომიკური და სოციალური განვითარების საკითხების განსახილველად. შეხვედრებზე წევრ მთავრობებს შესაძლებლობა ეძლევათ შეხვდნენ ბანკის თანამშრომლებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, მედიას, ასევე, დამკვირვებელი ქვეყნების, საერთაშორისო ორგანიზაციების, აკადემიური წრეებისა და კერძო სექტორის წარმომადგენლებს, რათა განიხილონ აზიის რეგიონში არსებული პრობლემები და შეთანხმდნენ მათ შესაძლო მოგვარების გზებზე.

საპარლამენტო საბჭომ და საკონსულტაციო ჯგუფმა რეგლამენტში შესატანი ცვლილებების პროექტები განიხილეს

2016 წლის 5 მაისს, საქართველოს პარლამენტის ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედმა საპარლამენტო საბჭომ და მასთან არსებულმა, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებით დაკომპლექტებულმა საკონსულტაციო ჯგუფმა სამუშაო შეხვედრა გამართეს. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს საპარლამენტო საბჭოს წევრმა დეპუტატებმა, საქართველოს პარლამენტის აპარატის და საბიუჯეტო ოფისის, ასევე, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. შეხვედრაზე მხარეებმა იმსჯელეს საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმის (2015-2016) ვალდებულებებიდან გამომდინარე საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში შესატანი ცვლილებებზე.

სახელმწიფო უწყებების გამჭვირვალობა - მონიტორინგის შედეგები

წინამდებარე კვლევა ჩატარდა 2016 წლის 1-15 მაისის პერიოდში. ამჯერად, IDFI-მ განახორციელა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისა და 16 სამინისტროს ვებგვერდის მონიტორინგი. კვლევაში განხილულია სავალდებულოდ პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის განთავსების პრაქტიკა და ტენდენციები განვლილი 2014 წლის მონიტორინგის შედეგებთან შედარებით.

2016 წლის პარტნიორთა გლობალური ფორუმი 19-24 მაისს ვაშინგტონში გაიმართა. მონაწილეებს შორის იყვნენ სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების, მთავრობის, კერძო სექტორის და აკადემიური სფეროს წარმომადგენლები. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტს (IDFI) ფორუმზე წარმოადგენდა საბა ბუაძე, ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) პროგრამის ფარგლებში.

IDFI - ბოლშევიკური რუსეთის მიერ დახვრეტილი ქართველი სამხედროების ხსოვნის ცერემონია



93 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ბოლშევიკურმა რუსეთმა ანტი - საბჭოთა აჯანყების მოწყობის მცდელობისთვის 15 ქართველი ოფიცერი დახვრიტა თბილისში, ვაკის პარკის ტერიტორიაზე. სპეციალურად ამ დღის უკვდავსაყოფად, 20 მაისს IDFI-მ, თბილისის მერიასთან, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივთან თანამშრომლობით გამართა ბოლშევიკური რუსეთის მიერ დახვრეტილი ქართველი სამხედროების ხსოვნისადმი მიძღვნილ ღონისძიება.

11 ცალმხრივ ბილეთში მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა 62 000 ლარი გადაიხადა

IDFI-მ გამოიკვლია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მისი პროგრამის - „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“ მონაწილეებისთვის თვითმფრინავის ბილეთების შესყიდვის ფაქტები. კვლევამ გამოავლინა, რომ 2013-2015 წლებში გამოცხადებულ ცხრა 571,714 ლარის საერთო ღირებულების ელექტრონული ტენდერის შედეგად სახელმწიფოს საჭიროზე გაცილებით მეტის გადახდა მოუწია.

პარლამენტის წევრების შეხვედრა ეთიკის კოდექსთან დაკავშირებით

საქართველოს პარლამენტის ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საბჭოსა და მისი საკონსულტაციო ჯგუფის სამუშაო შეხვედრა გაიმართა, სადაც საქართველოს ღია პარლამენტის 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმის 4.4. ვალდებულებით გათვალისწინებულ საკითხზე, კერძოდ, საქართველოს პარლამენტის წევრთა ეთიკის კოდექსზე იმსჯელეს.



2003-2015 წლებში საქართველოს პრეზიდენტების მიერ გაცემული სახელმწიფო ჯილდოები

IDFI-მ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას მიმართა 2003-2015 წლებში საქართველოს პრეზიდენტების მიერ გაცემული სახელმწიფო ჯილდოების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის მოთხოვნით. მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ირკვევა, რომ 2003-2015 წლებში საქართველოს პრეზიდენტების მიერ სულ გაცემულია 11 595 სახელმწიფო ჯილდო, რომელთაგან ყველაზე მეტი - 5525 იყო ღირსების ორდენი, 2541 - ღირსების მედალი, ხოლო 1160 - მედალი მხედრული მამაცობისთვის. ჯილდოების გაცემის სიუხვით განსაკუთრებით გამოირჩევა მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის უკანასკნელი წლები. 2012 წელს გაიცა 2681 სახელმწიფო ჯილდო, 2013 წელს კი - 1926.

საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმის საჯარო განხილვა ახალციხეში



ახალციხეში 2016-2017 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმის (OGP NAP) საჯარო განხილვა გაიმართა. ახალციხეში გამართული შეხვედრა დემოკრატიული ჩართულობისა ცენტრის და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის თანამშრომლობით შედგა. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) აქტიურადაა ჩართული “პარტნიორობა ღია მმართველობისათვის” საქმიანობაში. როგორც საჯარო კონსულტაციებში აქტიურად მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაცია, IDFI წარმოდგენილი იყო აღნიშნულ შეხვედრაზე.

მართული კონკურენცია ჯანდაცვაში და საქართველოს რეფორმები

ჯანდაცვაზე ხარჯების ზრდა არამარტო საქართველოს, არამედ ბევრი ქვეყნის ჯანდაცვის პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა. მის გადასაწყვეტად ბევრმა ქვეყანამ სხვადასხვა მეთოდები გამოიყენა. ამ თვალსაზრისით საკმაო გამოცდილება დაგროვდა. თანამედროვე მსოფლიოში ჯანდაცვაზე დანახარჯების შეკავების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მექანიზმად აღიარებულია ჯანდაცვის დაფინანსების კონკურენტული სისტემა. აღსანიშნავია, რომ “კონკურენტული სადაზღვევო მოდელის” კონცეფცია საქართველოშიც დაინერგა მცირე ხნით. საინტერესოა, გავეცნოთ ჯანდაცვის დაფინანსების კონკურენტული სისტემის გამოცდილებას, თუ რას წარმოადგენს იგი, ხარჯების შეკავების რა მექანიზმები გააჩნია და რატომ ვერ მოხერხდა ამ მოდელის განვითარება საქართველოში.

სახელმწიფო უწყებების გამჭვირვალობა - მონიტორინგის შედეგები

წინამდებარე კვლევა ჩატარდა 2016 წლის 1-15 მაისის პერიოდში. ამჯერად, IDFI-მ განახორციელა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისა და 16 სამინისტროს ვებგვერდის მონიტორინგი. კვლევაში განხილულია სავალდებულოდ პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის განთავსების პრაქტიკა და ტენდენციები განვლილი 2014 წლის მონიტორინგის შედეგებთან შედარებით.

სხვა:

სასამართლო დავის შეჯამება საქმეზე: IDFI - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ ევროკავშირის ახალი სტრატეგია სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის სფეროში
IDFI - გრიფით საიდუმლო დოკუმენტი საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ
სახელმწიფოს მიერ სრულად დაფინანსებული ფაკულტეტების ეფექტიანობა
არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივი განცხადება „კაბელების საქმეზე“
სამართალდამცავთა მხრიდან ჟურნალისტთა უფლებების დარღვევაზე რეაგირებას ითხოვს
კორცხელის ინცინდენტის გამოძიება არაეფექტურად მიმდინარეობს